



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №213
2016 წლის 29 ნოემბერი
მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის №49 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 09 ნოემბრის №206 განკარგულებისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 16 ნოემბრის №07/2/4907 მომართვის საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის №18 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს „1.27“ და „1.28.“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 - 1.1 „1.27“ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვანში მდებარე 321 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.08.28.540. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 3215 (სამი ათას ორას თხუთმეტი) ლარით.

შემდეგი პირობით: მყიდველი ვალდებულია იხელმძღვანელოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლის მოთხოვნებით, კერძოდ, გაითვალისწინოს 110 კვტ ძაბვის საპაერო ელექტროგადამცემი ხაზისათვის დადგენილი 20 - მეტრიანი დაცვითი ზონა.



აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გადის მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაზოვანი ნაგებობა (საკანალიზაციო სისტემა - ს/კ 72.00.502), რომელიც გადაცემულია ახალგორის მუნიციპალიტეტზე უზუფრუქტის ხელშეკრულებით 10 წლის ვადით. მყიდველი ვალდებულია, გაითვალისწინოს, რომ მისი მხრიდან არ იქნას ზემოაღნიშნულ მიწის ფართზე ავარიულ-აღდგენითი ან/და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობის შეზღუდვა”.

1.2 „1.28” მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მდებარე 169 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ №72.09.39.278. საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 2709 (ორი ათას შვიდას ცხრა) ლარით.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება, გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ. №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოლაშვილი